

**Eka Chikvaidze**

ეკა ჩიკვაიძე

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*Georgia, Tbilisi*

*საქართველო, თბილისი*

**Between Heritage and Ideology:**

**Grigol Peradze's Analysis of soviet Georgian Literature**

**მემკვიდრეობასა და იდეოლოგიას შორის**

**(გრეგოლ ფერაძე, საბჭოთა ქართული ლიტერატურის ანალიზი)**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10938>

This article analyzes Grigol Peradze's critical engagement with Soviet Georgian literature within the broader context of émigré intellectual history and ideological discourse. Based on Peradze's letters, essays, and interpretive reflections, the study argues that his enforced exile after 1921 produced a dual perspective that combined internal belonging to Georgian literary tradition with analytically productive distance. This position enabled Peradze to assess Soviet cultural policy, ideological mechanisms, and literary production with notable conceptual precision. The article situates his critique within comparative discussions of totalitarian cultural systems, demonstrating how exile shaped both his methodological approach and the ethical foundations of his interpretive stance.

**Keywords:** Grigol Peradze, Mass culture, Agit-literature, Spiritual life

**საკვანძო სიტყვები:** გრ. ფერაძე, მასკულტურა, აგიტკულტურა, სულიერი ცხოვრება

გრეგოლ ფერაძე ის მნიშვნელოვანი მოღვაწეა, რომელიც არა მხოლოდ ღირებულად აღესრულა, არამედ ღირებულადაც იცხოვრა. მცდელობის მიუხედავად, ვერ დაბრუნდა გასაბჭოებულ საქართველოში, მაგრამ არაერთი მნიშვნელოვანი კვლევა უძღვნა საქართველოს და მის კულტურას. გრეგოლ ფერაძის შეფასებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ერთგვარად ბინარული ხედვით აფასებს მოვლენებს – როგორც უცხო, რადგან ემიგრაციაში საბჭოთა წნეხისგან თავისუფალია და როგორც ამ კულტურის ნაწილი, რაკილა მხოლოდ 1921 წელს, თვით საბჭოთა ხელისუფლების ნებართვით დატოვა ქვეყანა. საყურადღებოა მისი დაკვირვებები, რომლებსაც ვეცნობით წერილში: „სულიერი ცხოვრება დღევანდელ საბჭოთა საქართველოში მხატვრული ლიტერატურის სარკეში“. წერილი თარგმნა და შესავალი წერილი დაურთო თ. ჭუმბურიძემ, ნიშანდობლივია, რომ თ. ჭუმბურიძის მიერ თარგმნილი წერილი (რომელიც შემდეგ მისივე სადისერტაციო ნაშრომშიც აისახა) დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ (1997, 11-12, გვ. 147-161), რადგან ის ლიტერატურული პროდუქცია, რომელიც კრიტიკული წერილის საფუძველი გახდა, სწორედ ჟურნალ „მნათობის“ 5 წლის არასრულ ნომრებში ამოიკითხა გრ. ფერაძემ.

გრეგოლ ფერაძე ორი სივრცის მნიშვნელოვანი მკავშირეებელია – ევროპულისა და ქართულისა. მისი ხედვა მკაფიოდ განსაზღვრა საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა: 1918 წელს თავისუფლების მოპოვებამ, ამავე წელს უნივერსიტეტში ჩაბარებამ, 1921 წელს თავისუფლების დაკარგვამ და უნებლიე ემიგრაციამ. კორნელი კეკელიძის მოწაფეობამ გრეგოლის ინტერესი მკაფიოდ

დაუკავშირა ძველი ქართული ლიტერატურისა და ლიტურგიის კვლევას, მანვე (ვ. კეკელიძემ) განაპირობა გრიგოლ ფერაძის დაინტერესება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების, ძველი ქართული ლიტერატურისა და ლიტურგიის საკითხების შესწავლით.

მსგავსად მასწავლებლისა, გრიგოლიც ავტოკეფალისტი იყო და აქტიურად ჩაერთო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოსაპოვებლად გამართულ დაპირისპირებაში. გრიგოლის მოქალაქეობრივი პოზიცია ყოველთვის მძაფრი და აქტიური იყო, შესაბამისად, როცა 1921 წლის თებერვალში საქართველოში შემოიჭრა წითელი მე-11 არმია, იგი თავის ორ ძმასთან ერთად სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. ამის შესახებ თვითონ გრიგოლ ფერაძე იგონებს:

„მთელი საქართველო სისხლში ცურავდა. სამივე ძმა ფრონტზე ვიყავით. დედაჩემი თბილისში იყო. არაფერი იცოდა ჩვენ შესახებ. სამი ძმიდან პირველი მე დავბრუნდი სახლში. ბინა გაქურდული დამხვდა. ქალაქი შიმშილობდა. დრო არ მქონდა დასვენებაზე მეფიქრა. უნდა მეჩქარა, რათა უმცროსი ძმა მომეძებნა. სხვადასხვა ცნობა მოდიოდა მის შესახებ. სამი ქალაქი მოვიარე იმ იმედით, იქნებ მეპოვა, უმეტესად ფეხით დავდიოდი - ძლივს მივაგენი დაკარგულ ძმას, რომელსაც ჩემი ჩასვლის დღეს ფეხი მოჰკვეთეს“.

საბჭოეთი არა მხოლოდ დამოუკიდებლობის დაკარგვის, არამედ იდეოლოგიური აბსურდისა და წინააღმდეგობრივი მსოფლხედვის გამო იყო გრიგოლისთვის პრინციპულად მიუღებელი და შეუწყნარებელი. მას კარგად ესმოდა, რას უქადდა ბოლშევიკური იდეოლოგია ქვეყანას და იმ ღირებულებებს, რომელიც კვებავდა ქართველ საზოგადოებას: „*დღევანდელი დროშეობა მოგვევლინენ ლამაზი ლოზუნგები, რომელთა მიღმაც სიბინძურე და თვალთმაქცობა იფარება*“. 1921 წლის შემოდგომაზე გარეკახეთის სამღვდელთა კრებულმა გრიგოლ ფერაძე თავის წარმომადგენლად გაგზავნა მესამე საეკლესიო კრებაზე გელათში. ამ კრებაზე ხელმეორედ დაისვა საკითხი სხვა ახალგაზრდებთან ერთად გრიგოლ ფერაძის გერმანიაში სასწავლებლად გაგზავნის შესახებ. კორნელი კეკელიძისა და მიტროპოლიტ ნაზარის (ლეჟავა) შუამდგომლობამ მისი ბედით კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) და ცნობილი გერმანელი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე არტურ ლაისტი დააინტერესა. გრიგოლი გერმანიაში გაემგზავრა. ეს იყო ერთგვარი განმსაზღვრელი ნაბიჯი მისი ცხოვრებისა. მცდელობის მიუხედავად, გრიგოლი სამშობლოში ვეღარ დაბრუნდა, თუმცა ღირსეულ მამულიშვილად დარჩა, მისი ღვაწლი არ დაიკარგა, მისი აღსასრული კი ერთგვარად მოწამებრივი იყო. საბჭოთა ბოროტებას თავდადებული გრიგოლ ფერაძე ფაშისტური ბოროტების მსხვერპლი გახდა. თუმცა ამჯერად არა მისი ცხოვრების გზა, არამედ ის მოტივები გვანტერესებს, რომლებმაც გრიგოლ ფერაძის ხედვა განსაზღვრეს. ნებისმიერი ქვეყნის ლიტერატურა იცნობს საზღვარგარეთ მოღვაწე შემოქმედთა ორგვარ ტიპს: ერთნი საკუთარი ქვეყნის შვილებად რჩებიან, მეორენი – იმ ქვეყანას ეთვისებიან, რომელშიც იკიდებენ ფეხს. გრიგოლ ფერაძის მოღვაწეობა თავისუფლად აგრძელებს ცნობილ ქართველთა ისტორიულ ღვაწლს. საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველთა ღვაწლი ორი ტერმინით გაიმიჯნა ერთმანეთისგან: ემიგრანტული და დიასპორული მწერლობა. პირველს მკვეთრად ნაციონალური ხასიათით, ეროვნული იდენტობის შენარჩუნების მწვავე სურვილით განასხვავებენ მეორისგან და ეპოქალურ ნიშნადაც გზაგამყოფი მე-20/21-ე საუკუნეები აქვთ, გრიგოლ ფერაძე ამ მარკერთა მიხედვითაც ემიგრანტული შემოქმედების წარმომადგენელია. მრავალმხრივი განათლება და მრავალპლანიანი მოღვაწეობა გრიგოლს მე-20 საუკუნის 20-იანი წლების აქტუალურ და ღირებულ შემფასებლად სახავს. იგი ძირითადად სწავლობდა აღმოსავლურ ენებს: ძველებრაულს, ძველბერძნულს, სირიულს, არაბულს, კოპტურსა და სომხურს. მათთან ერთად შეისწავლა გერმანული, ფრანგული, ინგლისური და ლათინური. გრიგოლმა საფუძვლიანად იცოდა აგრეთვე რუსული და ძველსლავური და, რა თქმა უნდა, ქართული ენა. მოგვიანებით, მან პოლონეთში ყოფნის დროს, შეისწავლა პოლონური ენაც. მრავალი ენის ცოდნა გრიგოლს საშუალებას აძლევდა, მსოფლიო ქრისტიანულ ლიტერატურას ორიგინალში გასცნობოდა. მან საფუძვლიანად შეისწავლა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ქრისტიანობის ჩასახვასა და გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხები, იკვლევდა საქართველოს წვლილსა და გავლენას ადრექრისტიანული

მწერლობის განვითარებაში. გრიგოლი გულმოდგინედ სწავლობდა, რათა კარგ სპეციალისტად დაბრუნებულიყო სამშობლოში. საქართველოში დაბრუნება და ქვეყნის მსახურება მისი უპირველესი დანიშნულება, მისია და მიზანი გახლდათ. გრიგოლის ორმაგი მზერა, ორმაგი შეფასება (რომელიც ზოგადად ემიგრანტებს ახასიათებთ) უაღრესად საინტერესოა – ის რეალისტურად აფასებს პრობლემებს და პროცესებს: 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ იგი დოქტორ ლეფსიუსს სწერდა:

„ცუდი ცნობები მომდის ჩემი ქვეყნის შესახებ. არეულობაა, ჩაგვრა, ქუთაისის მიტროპოლიტ ნაზარის მკვლელობა – ის ჩემი მეგობარი და მასწავლებელი იყო და ძალიან ბევრი გააკეთა ჩემი გერმანიაში გამოგზავნისათვის. 68 წლის მიტროპოლიტი წელიწადზე მეტ ხანს ციხეში იჯდა. ახლახან გამოუშვეს და ქუთაისში ცხოვრობდა. ბოლშევიკებს, რომლებსაც ეკლესიის გახლეჩა სურთ, უნდოდათ მისთვის პატრიარქობის გადაცემა, რადგან მისი უწმინდესობა პატრიარქი ამბროსი ავადა და ჯანმრთელობა შერყეული აქვს. მიტროპოლიტმა, რა თქმა უნდა, უარი თქვა ამაზე – მასთან ერთად დავკარგე ყოველივე საუკეთესო, რაც სამშობლოსთან მაკავშირებდა და მახარებდა“.

გრიგოლის შეფასებები და აქტივობა, მისი ჩართულობა სხვადასხვა ტიპის საზოგადოებათა მუშაობაში, იყო ბრძოლა თავისუფლებადკარგული ქვეყნისთვის და საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. ამასვე ემსახურებოდა 1926 წ. 25-27 მაისს ვენაში ჩატარებული კონფერენცია: კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიები უნდა გაერთიანებულიყვნენ ათეიზმისა და ურწმუნოების წინააღმდეგ საბრძოლველად. რადგან ყურადღება დაეთმო საკითხს: „ქრისტიანთა კონფრონტაციისათვის სოციალიზმსა და კომუნისტთან“, გრიგოლი აქტიურად ჩაერთო კონფერენციის მუშაობაში და აღტაცებულიც შეხვდა ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანების ცდას „ბნელი ძალების“, კომუნისტური რეჟიმისა და ბოლშევიკური იდეოლოგიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

„ერთხელაც იქნება და გაერთიანდებიან სარწმუნოებანი. დადგება დიდებული დღე ჩვენი უფლის მეორედ მოსვლის წინ. გაერთიანდებიან არა მარტო რომაული და ბერძნული ეკლესიები, არამედ ევანგელისტურიც შეუერთდება მათ, ქრისტიანობის არსი მტრობაში, შურში, ეჭვსა და ავაზაკობაში როდია. იგი უფლის მრევლის ძმურ სიყვარულში სულდგმულობს და ერთ მშვენიერ დღესაც ჩვენი მაცხოვრის ხელზე ეს სამივე ტოტი ერთმანეთს გადაეჭდობა“.

– წერს იგი თავის სტატიაში, რომელიც ვენის კონფერენციის მუშაობის შესახებ გამოაქვეყნა. წმინდა გრიგოლის ძმისწული, რომანოზ ფერაძე აღნიშნავს ეს მოგზაურობები და სამეცნიერო მუშაობა, სამშობლოს მოწყვეტილი ადამიანისთვის, მასთან მიახლების ერთ-ერთი გზა იყო, თუმცა, კარგად თუ ჩავუკვირდებით, მამა გრიგოლის ფენომენს, ვნახავთ, რომ საქართველო სწორედ იქ მკვიდრდებოდა, სადაც მამა გრიგოლი იმყოფებოდა: კითხულობდა ლექციას, იკვლევდა პალიმფსესტს, წირავდა თუ ქადაგებდა; ეს იმიტომ, რომ უმთავრესი იპოვა – სულიერი მამული და გააცნობიერა, რომ „ქართლის ბედი ჩვენშია და ჩვენშია სამშობლო“ („რომელი ქერუბინთა“). მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლი 1921 წლის ნოემბერში (უკვე გასაბჭოების შემდეგ) გაუშვეს სასწავლებლად, დაბრუნების უფლება არ მისცეს. ეს მით უფრო უცნაურია, რომ საბჭოეთმა დაბრუნების უფლება მისცა ნატანჯ და ნაღვაწ ექვთიმეს, რომლის თანამებრძოლი და თანამზრახველიც გახლდათ გრიგოლი. საბჭოთა საკონსულოსგან მიღებული მორიგი უარის შემდეგ თავად წერდა: „რისთვის ვიტანჯე ამდენი ხანი, რისთვის მოვიარე თითქმის მთელი ევროპა, რატომ არ მიშვებენ სახლში, რა დავაშავე?“ ქვეყნის გადარჩენისა და სამშობლოში დაბრუნების იმედის დაკარგვის შემდეგ გრიგოლის რიტორიკული კითხვა ერთგვარ ლოგიკურ ტონალობას იძენს: „საქართველო უკვე მკვდარია და ჩვენი აღსასრულიც დადგა?“

ბედის ირონია ის იყო, რომ გრიგოლს ევროპაშიც იდეოლოგიურ მტერთან მოუწია გამკლავება, მისი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ მე-20 საუკუნის ორ იდეოლოგიურ სიმახინჯეს შორის

ორივესთვის უნდა გაეცა უკომპრომისო პასუხი, თუმცა სწორი არჩევანი არც ერთხელ არ გასჭირვებია. ის არც საბჭოთა რეალობას გაურიგდა (თუმცა საქართველოში დაბრუნებას ითხოვდა და წუხდა, რომ, ყველა საბუთის წესრიგის მიუხედავად, ნებართვას არ აძლევდნენ, თხოვნას არ უკმაყოფილებდნენ) და, პირიქით, არც ფაშისტთაგან ალყაშემორტყმული ვარშავა არ დატოვა, თუმცა შესაძლებლობა ჰქონდა. გრიგოლს არც 1939 წლის 8 სექტემბერს დაუტოვებია ალყაშემორტყმული ვარშავა, როდესაც იქ მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს გერმანელებმა ქალაქის დატოვების უფლება მისცეს. იგი სიცოცხლის ბოლომდე პოლონეთში დარჩა.

ქართული სული, ხსნის გზის ძიება იდეოლოგიურ მონსტრთა შორის არჩევნის წინაშე აყენებდა არა მხოლოდ გრიგოლს, თუმცა სწორ გადაწყვეტილებას ყველა რომ ვერ იღებდა, ეს გრიგოლ ფერადის ხვედრმაც ცხადყო. მართალია, ცოტა, მაგრამ პროფაშისტურად განწყობილი ქართველი ემიგრანტების რიცხვი მაინც არსებობდა, გრიგოლ ფერადისთვის პრინციპულად გაუმართლებელი იყო ერთი ბოროტების მეორით დაძლევა, ამიტომაც, როცა პროფაშისტურმა ძალებმა მამა გრიგოლს თანამშრომლობა შესთავაზეს, მტკიცე უარი მიიღეს: „*არც ერთ სახარებაში არ წერია, რომ ქრისტიანი ადამიანი ფაშისტებს უნდა დაუდგეს სამსახურში*“. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ პროფაშისტურად განწყობილ ქართველებს არქიმანდრიტი გაენადგურებინათ. 1942 წლის იანვარში მამა გრიგოლს პოლონეთის დაზვერვის აგენტობა დააბრალეს, თუმცა გადარჩა, რადგან პოლონეთის დაზვერვის არქივები გერმანელების ხელში იყო და მათ სინამდვილის დადგენა არ გაუჭირდათ. მეორედ გრიგოლს ებრაელთა გადასარჩენად არსებული ტანხის შენახვა დააბრალდა. გრიგოლ ფერადის ბიოგრაფმა, მამა ჰენრიკ პაპროცკიმ, ფაშისტების არქივებში არქიმანდრიტის ბინის ჩხრეკის ოქმს მიაკვლია. ამ ოქმით დასტურდება, რომ გრიგოლ ფერადის ბინაში, ბიბლიოთეკაში, წიგნების უკან დიდი რაოდენობის დასავლური ვალუტა უპოვიათ, ომის შემდეგ აღმოჩენილი მასალები კი ცხადყოფენ, რომ არავითარი ვალუტა მამა გრიგოლის ბინაში არ აღმოუჩენიათ. ისტორიკოსი გოჩა საითიძე ფერადისადმი მიძღვნილ წერილში აღნიშნავს:

„ამჟამად თითქმის დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ვალუტა სამალავში გრიგოლ ფერადის არ შეუნახავს. არსებობს ზეპირი თუ წერილობითი მასალა, რომლებიც მიუთითებენ, თუ როგორ მოხვდა ფული წიგნების უკან და ვისი ნახელავი იყო ეს. მაგრამ იმის გამო, რომ აქ კონკრეტულ პირებზეა საუბარი, რომელთა შთამომავლები დღესაც ცოცხლები არიან და ცნობები ოფიციალური დოკუმენტებით ჯერჯერობით არ დასტურდება, თავს შევიკავებთ მათი გვარების დასახელებისაგან“.

იგი ეყრდნობა თამარ დულარიძის, შალვა მაღლაკელიძის, ჰენრიკ პაპროცკის, გურამ შარაძის მიერ მოხმობილ მასალას და პოლონეთში ქართული სათვისტომოს თავკაცის, გიორგი ნაკაშიძის სიტყვებზე მოჰყავს: „*ვიცი, ვინც იყო ამ საქმეში გარეული, მაგრამ არ ვიტყვი. ანდა რას უშველის თქმა? ისიც ვიცი, რომ ფერადის დღიური გესტაპოში დაჰქონდათ და უთარგმნიდნენ გერმანელებს, ეს ჩვენი სირცხვილია, ჩვენი დიდი სირცხვილი*“. ასე იყო თუ ისე, მამა გრიგოლი ცრუ დასმენის მსხვერპლი გახდა. 1942 წელს იგი დახვრიტეს.

ქრისტიანობა მკაფიოდ გამოკვეთს სიტყვისა და საქმის ერთიანობის აუცილებლობას – ქმნასა და თქმას. გრიგოლის მოღვაწეობა ერთიანია სიტყვითაც და საქმითაც, მნიშვნელოვანია, რომ ის არცერთ იდეოლოგიურ სიმახინჯეს მორალურად არ გარიგებია. მისი საქმე სიტყვით იყო ნაკვები და, პირიქით, სიტყვას საქმე ავსებდა და ასაბუთებდა. ამიტომ მნიშვნელოვანია მკვლევრისა და მოღვაწის მიერ შეფასებული პროცესები, რომლებსაც გრიგოლი თვალს ადევნებდა იძულებითი ემიგრაციიდან. ლიტერატურა რომ ცხოვრებას ასახავს, არც ეს არის ახალი აზრი. გრიგოლი, როგორც ორ იდეოლოგიას შორის უმწიკვლოდ გადარჩენილი, ნებელობითი არჩევნის სწორი მაგალითი საუცხოოდ წარმოაჩენს და ადასტურებს იმ აზრსაც, როგორ შეიძლება იყო უცხოებაში და არ მოსწყდებოდა ფესვებს, შეიგრძნო მაჯისცემა, დაინახო და შეაფასო პროცესები. ამ თვალსაზრისით მას პიროვნული არჩევანი, ქრისტიანული სულისკვეთება, ლიტერატურული გემოვნება, დიდი და ფართო დიაპაზონის ცოდნა შველის. ამიტომაც უტყუარი სიზუსტით აფასებს ქართულ საბჭოთა

ლიტერატურას და აქ, სამშობლოში განვითარებულ სალიტერატურო ცხოვრებას, ლიტერატურულ პროცესებს.

ერთი მხრივ, სამშობლოში დაბრუნების მცდელობა, მეორე მხრივ, პოზიცია – საქართველო ჩვენშია, მესამე მხრივ, ყოველგვარი კავშირის ძიება თუნდაც გზასაცდენილ, „ჩვეულებისამებრ სვლასმოკლებულ“ მამულთან გრიგოლ ფერაძის მოღვაწეობის პროფილს განსაზღვრავს. 1932 წლის სექტემბერში მცირე ხნით ბონის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მუშაობისას გრიგოლს შესაძლებლობა მისცემია, გაცნობოდა ჟურნალ „მნათობის“ 1926-1931 წლების ნომრებს (არასრულ კომპლექტს): „სურათი, რა თქმა უნდა, სრული ვერ იქნება, რადგან ბევრი რამ აკლია, მაგრამ მაინც ძალიან საინტერესოა, თუნდაც ამ მცირედის საფუძველზე დავინახოთ საბჭოთა საქართველოს ახლანდელი სულიერი სურათი“, – წერს იგი. მისმა დაკვირვებულმა მზერამ ანალიტიკური კომენტარებისა და შენიშვნების სახე მიიღო, ხოლო ეს მასალა საბოლოოდ მეცნიერულ-კრიტიკულ წერილად იქცა. როგორც თვითონ გრ. ფერაძე აღნიშნავს, ჟურნალის გაცნობისას მას ამ მასალის მეცნიერულ-კრიტიკულ ანალიზზე იმთავითვე არ უფიქრია, მაგრამ თავისთვის ზოგი რამ მაინც ჩაუნიშნავს; რამდენიმე წლის შემდეგ კი მოულოდნელად გასჩენია თავისუფალი დრო და მიბრუნებია ადრევე გაკეთებულ შენიშვნებს, რომელთა გაშლა-გაფართოების შედეგად მკითხველმა მიიღო საკმაოდ ვრცელი და საინტერესო მიმოხილვა სათაურით: „სულიერი ცხოვრება დღევანდელ საბჭოთა საქართველოში მხატვრული ლიტერატურის სარკეში“. წერილი დათარიღებულია 1936 წლით, მაგრამ გამოქვეყნდა მხოლოდ ორი წლის შემდეგ გერმანულ სამეცნიერო ჟურნალში. Gr. Peradze, Das geistige Leben im heutigen Sowjetgeorgien im Spiegel der schönen Literatur: Schriften der Albertus-Universität, Bd.14, Koenigsberg/Berlin, 1938. გვ. 270-288. ჟურნალ „მნათობის“ განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესში კარგად ჩანს გრ. ფერაძის წერილიდანაც, სადაც ავტორი იძულებულია მთელ ქართულ მწერლობაზე იმსჯელოს მხოლოდ „მნათობის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ლიტერატურული პროდუქციის მიხედვით, მაგრამ მაინც ახერხებს დაგვიხატოს იმდროინდელი ქართული მწერლობის სურათი და დაახასიათოს სხვადასხვა თაობისა და სხვადასხვა მრწამსის მწერალთა ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ესენი არიან როგორც პოეტები, ისე პროზაიკოსები და კრიტიკოსებიც კი. რატომ კრიტიკოსები? ცხადია, გრიგოლ ფერაძეს აინტერესებს სრული სპექტრი და სრულყოფილი სურათი, რათა განსაზღვროს არა მხოლოდ მდგომარეობა ლიტერატურისა, არამედ ამ ლიტერატურული პროცესების განმაპირობებელი იდეოლოგიური საფუძვლებიც. ეს კი სწორედ კრიტიკოსთა საქმეა. ამავე დროს, გრ. ფერაძის მახვილი თვალი საუკეთესოდ მიჯნავს ერთმანეთისგან კრიტიკას და იდეოლოგიურ წნეხს, ხოლო კრიტიკოსთა ნაზრევიდან ამოღებული მასალით აანალიზებს იმ შემოქმედთა მდგომარეობას, პათოსსა და მიმართულებას, რომელთაც საბჭოთა იდეოლოგიური ლიტერატურული კრიტიკა ანადგურებდა, იწუნებდა და არ ბეჭდავდა. იდეოლოგიური სარჩულით განსაზღვრული მწერლობა იარაღია თავსმოხვეული რეჟიმისთვის, შორს არის ღირებულებისგან და დროის განმკარგველ ზედაფენის ფავორიტთა საქმეა. ამ მიზეზთა გამო გრიგოლ ფერაძე ყურადღებას მიაპყრობს ღირებულებას და ლიტერატურული ასპექტით უმნიშვნელოსაც. ნიჭიერსაც და უნიჭოსაც, რათა განსაზღვროს, ვინ სად დგას და ვის რა ხვედრი ელის. 5-წლიანი პერიოდი მოიცავდა მრავალ ავტორს. ესენი იყვნენ გალაკტიონ ტაბიძე, კოტე მყაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, რაჟდენ გვეტაძე, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ფრიდონ ნაროუშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, დავით სულიაშვილი, დემნა შენგელაია, ალექსანდრე ჭეიშვილი, მიხეილ კახიანი, ბენიტო ბუაჩიძე, გერონტი ქიქოძე, პლატონ ქიქოძე, მოსე გოგიბერიძე და გრიგოლ ფერაძე გამოთქვამს მეტად საგულისხმო შენიშვნებს ცალკეულ ნაწარმოებსა და მწერლებზე, ლიტერატურულ და სოციალურ პრობლემებზე.

ხელთ ჩაგდებული მასალის მიხედვით, გრიგოლი შემოქმედებს ერთგვარად სამ კატეგორიად ყოფს: „მგზავრები“, „თანამგზავრები“ (საბჭოური ლიტერატურული კრიტიკის ცნობილი დაყოფა) და ურჩი შემოქმედები. თუმცა იდეოლოგიურ მწერლობაშიც აღნიშნავს განსაკუთრებულ თავისებურებას – შემოქმედებით თავმოყვარეობას, რაც ქართველ მწერლებს განასხვავებს რუსი ავტორე-

ბისგან (მაგალითად კი დემიან ბედნი და მაიაკოვსკი მოჰყავს). გრიგოლ ფერაძის ინტერესი, უპირველესად, ეპოქის იდეოლოგიურ ასპექტებს ეხება: ჟურნალის კითხვის დროს დამაინტერესა იმან, თუ რას მოითხოვს ოფიციალური ბოლშევიკური კრიტიკა პოეტებისა და მწერლებისაგან და როგორ ასრულებენ ისინი ამ მოთხოვნას, ამიტომ მიაპყრობს მზერას კრიტიკოსების - მიხეილ კახიანისა და ბენიკო ბუაჩიძის წერილებს. კრიტიკოსთა შემთხვევაში გრიგოლ რობაქიძე შემოქმედთან განსხვავებულ მდგომარეობას ხედავს – კრიტიკოსები იდეოლოგები არიან, აქ განსხვავებული მიდგომა არ არსებობს (თუმცა მიზეზთა გამო მისი ხედვა მხოლოდ კახიანსა და ბუაჩიძეს მისწვდა). პასუხი ერთგვარი დიაგნოზია, ცალსახა და ზუსტი: „პოეტებისაგან მოითხოვენ, რომ ჩადგინენ მსოფლიო რევოლუციის სამსახურში და შრომასა და შემოქმედებაში მიჰყვინენ კომუნისტური პარტიის მითითებებს. მათ უნდა ასახონ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია და უმდერონ ამას. მათ უნდა მოუწოდონ „ყველა პროლეტარს“ „მსოფლიო კაპიტალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, რომლებიც „თავისუფლებისათვის“ ბრძოლაში დაიღუპნენ. შესაბამისად, გრიგოლ ფერაძე აფასებს ლიტერატურულ პროცესებს სწორედ ამ პოზიციიდან, ამ დაკვეთიდან. აჯამებს მიდგომას და ინდივიდუალიზმს, დაკვეთას და პიროვნულ ნებელობას, პარტ – და მასკულტურას, აგიტკა – ლიტერატურას და რეალურ, შემოქმედებით პროცესს, რომელიც წნეხის პირობებშიც ახერხებს სათქმელის მკითხველამდე მიტანას, გულწრფელი ემოციის ესთეტიკურად გადმოცემას.

გასული საუკუნის 20-30-იანი წლების ლიტერატურული პროცესების მკვლევართათვის კარგად არის ცნობილი, რომ იმ ხანებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგები მწერლებს ყოფდნენ ორ ძირითად ჯგუფად: „მგზავრებად“ და „თანამგზავრებად“. პირველნი, რევოლუციური ეპოქის პირმშონი, როგორც გრ. ფერაძე ამბობს, „ამაყად და თავდაჯერებით მოაბიჯებენ ბოლშევიკური რევოლუციის გზაზე“, მეორენი კი, მართალია, საბჭოთა ხელისუფლების მტრები არ არიან, მაგრამ ჯერ ვერ გათავისუფლებულან „ბურჟუაზიული შეხედულებებისაგან“. ე.ი. გრიგოლ რობაქიძე წერილში გამოკვეთს სამი ტიპის შემოქმედებას საბჭოთა იდეოლოგიის მიმართ – მქადაგებლურს, შემწყნარებლურს და დაპირისპირებულს. თუმცა მკაფიოდ აღნიშნავს 1. ინდივიდუალიზმს (კ. ლორთქიფანიძესთან, რომელიც, მიუხედავად ბოლშევიკური იდეოლოგიისა, ცკ-ს დადგენილებებს არ ლექსავს), 2. თავმოყვარეობას – ძველი კულტურის მიდევნას; 3. საყოველთაო ურწმუნოებას (ამის მაგალითად გალაკტიონი მოჰყავს, რომელიც უპირისპირდება საბჭოეთის იდეალებს, მაგრამ არა იმ ნიადაგზე, რომელიც ხელიდან არ დაუსხლტება, უნიადაგოდ არ დატოვებს ადამიანს – იმოწმებს ლექსს, „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“ და ასკვნის, „სამწუხაროდ, ეს იდეა რელიგიიდან არ იღებს სათავეს... მათ ასეთი იდეა და ძალა უნდა მოძებნონ, თორემ როგორ შეიძლება იარსებონ ასეთ დროსა და გარემოში, სადაც ლოცვა და პოეზია დაეცა და, სადაც „კულტურული“ დაკმაყოფილება ბოლშევიკური საგაზეთო ცნობების პოეტური შეფასებით ხდება!“). გამოკვეთილია ავტორის დამოკიდებულება მწერალთა მესამე ჯგუფისა და მათი საბჭოური კრიტიკოსების მიმართ, რომელთა აზრითაც ამ კატეგორიის მწერლები თითქოს „უკვე დაიღალნენ და დროს ვეღარ ესადაგებიან“, ცხადია, გრიგოლ ფერაძეს მოსწონს ის შემოქმედები, რომელთაც არა მხოლოდ აკრიტიკებენ, არამედ, ხშირ შემთხვევაში, კრიტიკის მეშვეობით სასიკვდილოდაც სწირავენ კრიტიკოსები (ამის მაგალითად კი კახიანის მიერ რ. კალაძის ტროცკისტად მოხსენიება მოჰყავს, რაც სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო). განსაკუთრებით კი აფასებს მ. ჯავახიშვილს. მის დაუმორჩილებლობას და კალმით ბრძოლას საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. გრ. ფერაძისთვის ცხადი და აშკარაა, რა აძლებინებს მოაზროვნე ადამიანს ამ უმძიმეს იდეოლოგიურ გარემოში (თუმცა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ასეთსავე მიუღებელი იდეოლოგიის წიაღში თავადაც მოუხდება რეალობის გამკლავება და გამოწვევებისთვის პასუხის გაცემა მომავალ წმინდანს, რაც გახდება კიდევ მისი წმინდანად შერაცხვის საფუძველი): „დიდი და თვითმყოფადი იდეა, – განაგრძობს მკვლევარი, – აძლევს ამ ადამიანებს გამძლეობის ძალას იქ, სადაც ისინი ბედმა დააყენა, ან, სადაც თვითონ ისურვეს დგომა“. ვ. ბარნოვი, მ. ჯავახიშვილი, კ. მაყაშვილი ის შემოქმედები არიან, რომელთა ნაღვაწიც ღირებულებას არ დაკარგავს და იტვირთავს მისიას – გადაარჩინოს ერიც, ერის ტრადიციაც და ლიტერატურაც.

გრ. ფერადის მახვილ თვალს არ გამოეპარა არც ის შეუსაბამობა, რომელიც არსებობდა იდეოლოგიურ კრიტიკასა და რეალობას შორის და არც იმ მიდგომების აბსურდულობა, რომლებსაც საბჭოთა ცენზურა, ლიტერატურა და ლიტერატურული კრიტიკა ამკვიდრებდა - საბჭოთა ლიტერატურის გამირის საკითხი. ცნობილია, რომ საბჭოთა იდეოლოგია მიზნად ისახავს ახალი ადამიანის დაბადებას, ხოლო ამ მიზნისკენ სავალ გზაზე განსახორციელებელ ცვლილებათაგან ერთ-ერთი არსებობის პირველ ეტაპზე ოჯახის ინსტიტუტის რღვევა, ქალის ემანსიპირება და ბავშვის დამოუკიდებლობა იყო. ამიტომაც ლოგიკურია ავტორის კითხვები: „კომუნისტი (საბჭოთა იდეოლოგიის მიმდევარ, ე. ჩ.) მწერალთა ნოველებში, რასაკვირველია, ყოველთვის ჭკვიანია, ბრძენი და სერიოზული. ის არ ფიქრობს საკუთარ თავზე. ამ დროს კი ეს ის ხალხია, რომლებიც ცდილობენ შეეწყვიტათ ოჯახური ცხოვრება, ცოლისაგან შეექმნათ პლატონური რესპუბლიკის ქალი, შვილებისაგან კი – უპატრონო ქუჩის ბავშვები... მე არ მესმის, კომუნისტები, რომლებსაც სურთ, მათი გმირები სინამდვილეს შეესაბამებოდნენ, როგორ იტანენ სრულიად ჩვეულებრივი, ზემგრძნობიარე რომანტიკოსისათვის დამახასიათებელ ასეთ შელამაზებას“. ახალი ადამიანი ახალ გარემოში იმკვიდრებს თავს, ეს გარემო ინდუსტრიული ყოფაა, ინდუსტრიალიზაცია საბჭოური გამოწვევაა, შესაბამისად, ესეც ერთ-ერთი სპექტრია, რომელიც ხალხს სწორედ ლიტერატურამ უნდა მიაწოდოს. გრ. ფერადე ამ ტექნიკური პროგრესის „პოეტურ აპოლოგიას“ ირონიულად და სინანულით უყურებს, რადგან ტექნიკის გაფეტიშებას რელიგიის ჩანაცვლების და რელიგიისაგან დაცლილი სოციალისტური სივრცის ამოვსების სურვილით სხსნის:

„რამაც კომუნისტები სიხარულს პოულობენ და თავიანთი არსებობის მიზანს ხედავენ, ესაა ტექნიკა – ბოლშევიკური მეცნიერება და ტექნიკა! მეცნიერების ქვეშ მათ ესმით ტექნიკის თეორიები და ტექნიკა თვითონ არის პრაქტიკული ხორცშესხმა ამ თეორიებისა. ტექნიკამ, კომუნისტების გაგებით და მისწრაფებით, უნდა დაიკავოს რელიგიის ადგილი. აქედან უკვე ჩანს, რომ ადამიანებს რელიგია სჭირდებათ!“

ცხადია, გრ. ფერადე სოციალისტური რეალიზმის მთავარ ამოცანას - ახალი ისტორიისა და მასობრივი კულტურის შექმნის მცდელობას – შეიგრძნობს და ხედავს იმ მანძილიდანაც კი, რომელიც სამშობლოსა და აქ მოღვაწეთაგან ყოფს და აშორებს, მაგრამ დითირამბული ლექსების, ოდების, საბჭოთა ადამიანების კოლექტიურ შრომასა და გამირობაზე, ძმობის, ერთობისა და თანასწორობისათვის მებრძოლი ხალხის ცხოვრებაზე დაწერილი რომანების და საბჭოთა კრიტიკის მიერ ხოტბაშესხმულ სიყალბეზე მეტად ის გამძლეობა და იდეურ-იდეოლოგიური სიმყარე ახარება, რასაც ქართველი მწერლები (მესამე ტიპის შემოქმედები, განსაკუთრებით, – მ. ჯავახიშვილი) აძლევდა ნუგეშს, რომ ადრე თუ გვიან „გონებასუსტი დევიც“ დამარცხდებოდა. ი. რატიანი 30-იანი წლების ქართულ ლიტერატურას „განადგურებული ტალანტების და დაუწერელი ტექსტების დროს“ უწოდებს. მართალია, სხვა სივრცესა და უკვე 40-იან წლებში (1942 წ.), მაგრამ კიდევ ერთი გამეტებული ტალანტი (ახლა უკვე ფაშისტური იდეოლოგიის მსხვერპლი) გრიგოლ ფერადეა, რომელიც ცხადი მაგალითია არა მხოლოდ იმისა, როგორ შეიძლება ემსახურო ქვეყანას მაშინაც კი, როცა მისგან მოწყვეტილი ხარ, არამედ იმისაც როგორ შეიძლება გადარჩე სულიერად ისეთ მძიმე იდეოლოგიურ ბრძოლაში, როგორც ფაშისტური რეჟიმია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

სულიერი ცხოვრება დღევანდელ საბჭოთა საქართველოში მხატვრული ლიტერატურის სარკეში. (1997).  
(თარგმნა და შესავალი წერილი დაურთო თ. ჭუმბურიძემ), „მნათობი“, , 11-12, 147-161.  
ჭუმბურიძე, თ. (2006). ქართული ხელნაწერების შესწავლა უცხოეთში (სადისერტაციო ნაშრომი), თბილისი.

### References:

Sulieri tskhovreba dghevandel sabch'ota sakartveloshi mkhat'vruli lit'erat'uris sark'eshi. (1997). (Targmna da shesavali ts'erili daurto T. Ch'umburidze), [Spiritual Life in Today's Soviet Georgia in the Mirror of Fiction]. „Mnato-bi“, 1997, 11-12, 147-161.  
Ch'umburidze, T. (2006). Kartuli khelnats'erebis shests'avla utskhoetshi. [Study of Georgian Manuscripts Abroad]. (Sadisert'atsio nashromi), Tbilisi.